1.1 პროექტის დასახელება: საქართველოს საზღვრები

1.2 პროექტის ხელმძღვანელი: გიორგი ჭეიშვილი, giorgi.cheishvili@tsu.ge

1.3 მონაწილე ინსტიტუტი: თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

1.4 პროექტის ხანგრძლივობა: 5 წელი (2020-2024 წლები)

1.5 პროექტის მოკლე შინაარსი:

„საზღვრების“ საკითხი ყოველთვის იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას. მაგრამ ისტორიის პროფესიონალიზაციის ეპოქაში მკვლევრები უმთავრესად ინტერესს იჩენდნენ პოლიტიკური საზღვრების მიმართ. მეოცე საუკუნეში ე. წ. „ახალი ისტორიის“ ჩამოყალიბებამ ისტორიკოსთა „ტერიტორია“ გააფართოვა. ისტორიული კვლევების ფოკუსი აღარ იყო მხოლოდ ცალკეული ინდივიდები ან მხოლოდ ის, რაც მოხდა, არამედ კოლექტივები და ისიც, თუ როგორ ფიქრობდნენ იმაზე თუ რა მოხდა. ანუ რელევანტური გახდა საზოგადოებრივი პერცეპციების კვლევა, ღირებულებებისა და სიმბოლოების შესწავლა. წარმოიშვა ახალი პრობლემატიკა, რომელიც დაუკავშირდა იდენტობის კვლევებს. საზღვრები ახლა გაიგებოდა არა როგორც მხოლოდ რეალური (ფიზიკური თუ პოლიტიკური), არამედ როგორც წარმოსახვითი და გარკვეული სიმბოლიზმით დატვირთული ფენომენი. იდენტობის ფენომენი მკაფიოდ უკავშირდება საზღვრებს სწორედ ამგვარი სიმბოლური აზრით. თვითიდენტიფიკაცია ხდება „სხვების“ პირისპირ. „ჩვენ/სხვა“ მიმართება კი არის სწორედ „საზღვრების“ გამოვლინება. წინამდებარე პროექტში, ისტორიული, ეთნოლოგიური და ანთროპოლოგიური კვლევების საფუძველზე, შესწავლილი იქნება როგორც ფიზიკური, ისე მეტაფორული საზღვრები. კომპლექსური მიდგომის შედეგად პროექტი ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის წარსულში, თუ თანამედროვეობაში არსებულ კულტურულ-პოლიტიკური დელიმიტაციის პრობლემებზე პასუხის გასაცემად. პროექტი შედგება ხუთი მიმართულებისგან, რომლებიც შესაბამისი პროფილის განყოფილებებში დამუშავდება განყოფილების გამგეთა ხელმძღვანელობით: <u>მიმართულება 1.</u> ***საზღვრები ძველ საქართველოში: კონცეფცია და პრაქტიკა*** - ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილება, ხელმძღვანელი ლ. გორდეზიანი, <u>მიმართულება 2.</u> ***ქართული ერთობის საზღვრები IV–XVIII საუკუნეებში: წარმოსახვა და რეალობა*** - შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილება, ხელმძღვანელი მ. ჩხარტიშვილი, <u>მიმართულება 3.</u> **საქართველოს საზღვრები XIX-XXI საუკუნეებში** - ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილება, ხელმძღვანელი ა. სონღულაშვილი, <u>მიმართულება 4.</u> **ქართველი ხალხის ეთნო-კულტურული ურთიერთობები მოსაზღვრე კავკასიის ხალხებთან და მოსახლეობის ანთროპოლოგიური დახასიათება** - კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილება, ანთოპოლოგიური კვლევის ლაბორატორია; ხელმძღვანელები: რ. თოფჩიშვილი და ლ. ბითაძე, <u>მიმართულება 5.</u> **საზღვრების ეთნო-კულტურული**

განზომილებები - საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილება, ხელმძღვანელი ქ. ხუციშვილი.

1.6 არსებული აღჭურვილობა და დანადგარები:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის განყოფილებების ოთახები, ბიბლიოთეკა, ისტორიული და ეთნოლოგიური არქივი, ანთროპოლოგიური კოლექციების საცავი.

1.7 პროექტის სამეცნიერო და ტექნოლოგიური დარგები:

საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები; ჰუმანიტარული მეცნიერებები; სოციალური მეცნიერებები; ისტორია; ეთნოლოგია; ფიზიკური ანთროპოლოგია.

2.1 პროექტის აღწერილობა:

„საზღვრების“ საკითხი ყოველთვის იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას, მაგრამ ისტორიის პროფესიონალიზაციის ეპოქაში მკვლევრები უმთავრესად ინტერესს იჩენდნენ პოლიტიკური საზღვრების მიმართ. მეოცე საუკუნეში ე. წ. „ახალი ისტორიის“ ჩამოყალიბებამ ისტორიკოსთა „ტერიტორია“ გააფართოვა. ისტორიული კვლევების ფოკუსი აღარ იყო მხოლოდ ცალკეული ინდივიდები, ან მხოლოდ ის, რაც მოხდა, არამედ კოლექტივები და ისიც, თუ როგორ ფიქრობდნენ იმაზე, თუ რა მოხდა; ანუ რელევანტური გახდა საზოგადოებრივი პერცეპციების კვლევა, ღირებულებებისა და სიმბოლოების შესწავლა. წარმოიშვა ახალი პრობლემატიკა, რომელიც დაუკავშირდა იდენტობის კვლევებს. საზღვრები ახლა გაიგებოდა არა როგორც მხოლოდ რეალური (ფიზიკური თუ პოლიტიკური), არამედ როგორც წარმოსახვითი და გარკვეული სიმბოლიზმით დატვირთული ფენომენი. იდენტობის ფენომენი მკაფიოდ უკავშირდება საზღვრებს სწორედ ამგვარი სიმბოლური აზრით. თვითიდენტიფიკაცია ხდება „სხვების“ პირისპირ. „ჩვენ/სხვა“ მიმართება კი, არის სწორედ „საზღვრების“ გამოვლინება. წინამდებარე პროექტში, ისტორიული, ეთნოლოგიური და ანთროპოლოგიური კვლევების საფუძველზე, შესწავლილი იქნება როგორც ფიზიკური, ისე მეტაფორული საზღვრები. კომპლექსური მიდგომის შედეგად, პროექტი ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის წარსულში თუ თანამედროვეობაში არსებულ კულტურულ-პოლიტიკური დელიმიტაციის პრობლემებზე პასუხის გასაცემად.

ნაშრომი შედეგბა ხუთი მიმართულებისგან:

მიმართულება 1. საზღვრები ძველ საქართველოში: კონცეფცია და პრაქტიკა. ცნობები ძველი საქართველოს საზღვრების შესახებ შემონახულია ძველაღმოსავლურ, ძველბერძნულ და რომაულ წყაროებში. შესაბამისად, ყურადღება ექცევა იმის გარკვევას, თუ რას ნიშნავდა „საზღვარი“ ძველ სამყაროში, როგორი იყო საზღვრის აღმნიშვნელი ლექსიკა და როგორ იცვლებოდა ის საუკუნეთა მანძილზე, რამდენად განსხვავდებოდა საზღვრის კონცეპტი ქალაქ-სახელმწიფოებსა და იმპერიებში, ან აღმოსავლეთისა და დასავლეთის იმპერიებში.

ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს ტერიტორიისა და საზღვრის აღქმა ბიბლიაში, რამდენადაც ეს უკანასკნელი ხშირად საფუძვლად უდევს გეოპოლიტიკურ კონცეფციებს შუა საუკუნეების საქართველოში. იმპერიები გარე სამყაროს აღიქვამდნენ როგორც საკუთარ ოიკომენეს, იქ შემოკრებილი ხალხები და ქვეყნები შეიძლებოდა ყოფილიყო მათი პროვინცია ან მეგობარი/კლიენტი სამეფო. რა გავლენას ახდენდნენ იმპერიები და როგორ აღიქვამდნენ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე მოსახლე ტომებს, თუ სახელმწიფოებს, ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე სად გადიოდა საზღვარი პროვინციებსა და კლიენტ სამეფოებს შორის, როგორი იყო მათი დემარკაციის პრინციპი - ესეც წარმოდგენილი კვლევის კიდევ ერთი ასპექტი იქნება. პოლიტიკურთან ერთად, შესწავლილი იქნება ეთნიკური, კულტურული და სოციალური საზღვრები. ცალკე ყურადღება ეთმობა ნომადური სამყაროსა და ცივილიზავიების საკონტაქტო ზონას და ამ კონტექსტში - ცენტრალურ კავკასიონს როგორც წინაქრისტიანული ხანის ამიერ- და იმიერკავკასიის გამყოფ და შემაერთებელ კულტურულ-პოლიტიკურ სასაზღვრო ზონას. კვლევა წარიმართება წერილობით და ნივთიერ წყაროებზე დაყრდნობით, ისტორიულ-შედარებითი მეთოდის ფართო გამოყენებით.

მიმართულება 2. ქართული ერთობის საზღვრები IV–XVIII საუკუნეებში: წარმოსახვა და რეალობა. შუა საუკუნეების საქართველოს საზღვრების კვლევისას, ძირითადი ყურადღება ქართულ წყაროთა ანალიზს დაეთმობა. პასუხი გაეცემა კითხვას, თუ როგორ აღიქვამდა საზღვარს და საზღვრისპირა საზოგადოებას შუა საუკუნეების ქართული ელიტა, რა შინაარსს დებდა იგი საზღვარში და როგორ აღწერდა საზღვარს, როგორ იაზრებდა იდეოლოგიურ საზღვრებს და რამდენად ემთხვეოდა ეს მეტაფორა რეალურ-ფიზიკურ საზღვრებს. მკითხველი გაიგებს, თუ როგორ ქმნიდნენ რეალურ საზღვრებს ელიტებიც და მდაბიონიც. შუა საუკუნეების საქართველოს საზღვრების მნიშვნელობა გაანალიზდება პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური თვალსაზრისით. კვლევის პროცესში კიდევ ერთხელ წარმოჩინდება ტერიტორიისა და იდენტობის, ეროვნული ტერიტორიის ჩამოყალიბებისა და ერადქმნადობის პროცესის მჭიდრო ურთიერთკავშირი; ნაჩვენები იქნება პოლიტიკური და საეკლესიო გეოგრაფიის ურთიერთმიმართება. წინა პლანზე წამოიწევს შუა საუკუნეების ის პოლიტიკური ფორმულები, რომლებიც საზღვარს აკანონებდა, ხაზი გაესმევა მეფის საკრალურ ფუნქციას/მოვალეობას საზღვრის დაცვასა და გაფართოებაში. შუა საუკუნეების საზოგადოება სენსიტიურად აღიქვამდა იმ ზოლს თუ არეალს, სადაც *თვისი უცხოსთან*, ხოლო *მკვიდრი არამკვიდრთან* მოდიოდა შეხებაში. ასეთი მსოფლხედვა არც ქართველებისთვის იყო უცხო და ასეთი შეხების ზოლები შესწავლილი იქნება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებთან. საქართველოს ეროვნული ტერიტორიის ფორმირებაზე დიდ მნიშვნელობას ახდენდა მისი ურთიერთობა მახლობელი აღმოსავლეთის იმპერიებთან. სახელმწიფო ტერიტორიის ევოლუცია იმპერიებს შორის გახლეჩილი ქვეყნიდან პანკავკასიურ მონარქიამდე წინამდებარე პროექტის მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

მიმართულება 3. საქართველოს საზღვრები XIX-XXI საუკუნეებში. XIX-XX საუკუნეების მღელვარე ისტორიამ გამოკვეთა ის პოლიტიკური საზღვრები, რომლებშიც საერთაშორისო თანამეგობრობამ საქართველო 1992 წელს აღიარა. XX ს-ის ბოლოსა და XXI ს-ის დასაწყისში განვითარებულმა პროცესებმა კი, დაღი საქართველოს დე-ფაქტო საზღვრებსაც დაასვა. კვლევის მიზანია, წარმოაჩინოს საქართველოს ტერიტორიული ევოლუცია რუსეთის იმპერიაში, დემოკრატიული რესპუბლიკის ხანმოკლე არსებობის პერიოდში, საბჭოთა კავშირსა და დამოუკიდებლობის პერიოდში. საქართველოს სახელმწიფო საზღვრების ჩამოყალიბების პროცესში მთავარი მოთამაშე იყო და დღესაც რჩება რუსეთი. ამიტომ ნაშრომში ფართოდ, სხვადასხვა კუთხით იქნება გაშუქებული რუსეთის სასაზღვრო პოლიტიკა საქართველოში, საქართველოს, თუ მისი ცალკეული კუთხეების ანექსიის პოლიტიკა (აფხაზეთის მაგალითზე), შიდა და გარე ადმინისტრაციული საზღვრების ცვალებადობა, ეთნიკური და კულტურულ-რელიგიური საზღვრების მერყეობა, სოციალური და ეკონომიკური საზღვრების ცვლილებების ტენდენციებს. ყურადღება გამახვილდება რუსეთის მიერ შექმნილი ავტონომიების თბილისსა და მოსკოვზე დამოკიდებულების ხარისხზე, ავტონომიებში პოლიტიკური მოძრაობების გავრცელების გეოგრაფიაზე და სხვა. ფართო ადგილი დაეთმობა მსჯელობას სასაზღვრო პოლიტიკასა და ეთნიკურ იდენტობაზე საბჭოთა პერიოდში. პარალელურად, შეისწავლება ქართველ პოლიტიკურ თუ საზოგადო მოღვაწეთა, პოლიტიკურ პარტიათა გეგმები საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ. ვინაიდან საზღვრებს კულტურული განზომილებაც აქვს, ამიტომ ცალკე პრობლემად გამოიყოფა საზღვრისპირა ტერიტორიებზე არსებულ ძეგლთა ეთნიკური ატრიბუციის და შესწავლის ისტორია. უაღრესად მნიშვნელოვანია ქართველთა ტრადიციული რელიგიური კონფესიების (ქართველი მართლმადიდებლები, ქართველი გრიგორიანები, ქართველი კათოლიკეები და ქართველი მაჰმადიანები) ისტორიული კარტოგრაფია, მათი საზღვრების და იდენტობის გარკვევა. ნაშრომში შესწავლილი იქნება დამოუკიდებლობის ორივე პერიოდის პოლიტიკური გეოგრაფია, მათ შორის შიდატერიტორიული მოწყობა, სასაზღვრო პრობლემების და პოლიტიკური კონფლიქტების ურთიერთმიმართება.

მიმართულება 4. ქართველი ხალხის ეთნო-კულტურული ურთიერთობები მოსაზღვრე კავკასიის ხალხებთან და მოსახლეობის ანთროპოლოგიური დახასიათება. ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ქართველ ხალხს აქტიური ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ ხალხებთან. ეს ურთიერთობა გულისხმობდა მიგრაციული პროცესებსაც - როგორც მუდმივს, ისე დროებითს/სეზონურს. საქართველოს მეზობელი ტერიტორიებიდან და პირიქით, საქართველოდან კავკასიის ხალხებში მიგრაციები იწვევდა ურთიერთშერევებს, კულტურის ამა თუ იმ ელემენტის სესხებას. ასე რომ, მიმდინარეობდა გარკვეული ეთნიკური პროცესები, წარმოიქმნებოდა ახალი, საერთოკავკასიური კულტურული ფენომენები და ღირებულებები ყოფის ყველა სფეროში (მატერიალური კულტურა, მეურნეობის ფორმები, სოციალური ურთიერთობები, სულიერი კულტურა, ფოლკლორი). სასაზღვრო ზოლის გადაკვეთა, მუდმივი მიგრაციული პროცესები კავკასიის ხალხების ანთროპოლოგიურ შემადგენლობაზე გარკვეულ გავლენას

ახდენდა; ამიტომ გათვალისწინებულია ფიზიკური ანთროპოლოგიის მონაცემების შესწავლაც; შედარებული იქნება სასაზღვრო ზოლის ორივე მხარეს მცხოვრები ქართველებისა და კავკასიელების ანთროპოლოგიური ტიპები. ნარკვევში, ისტორიულ და თანამედროვე ჭრილში, შეისწავლება ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორებიცაა: ჩრდილო-დასავლეთი კავკასიის და ქართველი ხალხის ეთნო-კულტურული ურთიერთობები და მათი ანთროპოლოგიური ტიპები; ცენტრალური კავკასიისა და ქართველი ხალხის ეთნო-კულტურული ურთიერთობები და მათი ანთროპოლოგიური ტიპები; ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიისა (დაღესტნის) და ქართველი ხალხის ეთნო-კულტურული ურთიერთობები და მათი ანთროპოლოგიური ტიპები; სომხებისა და ქართველი ხალხის ეთნო-კულტურული ურთიერთობები და მათი ანთროპოლოგიური ტიპები; ისტორიული ალბანეთისა და თანამედროვე აზერბაიჯანის მოსახლეობის და ქართველი ხალხის ეთნო-კულტურული ურთიერთობები და მათი ანთროპოლოგიური ტიპები.

მიმართულება 5. საზღვრების ეთნო-კულტურული განზომილებები: მიმართულების შემსრულებელნი დაამუშავებენ საზღვრების კვლევის ეთნო-კულტურულ მახასიათებლებთან დაკავშირებულ საკითხებს საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებისა და ურბანული სივრცეების ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე. საზღვრების ტრადიციულ, გეოგრაფიულ-ტერიტორიულ გაგებასთან ერთად, საზღვრები განიხილება, როგორც ეთნოკულტურული მახასიათებლების მქონე პროცესი, „არამატერიალური“, წარმოსახვითი, თუ სიმბოლური ასპექტებით. გაანალიზდება კულტურული, სოციალური, ეკონომიკური და რელიგიური საზღვრების ფაქტობრივი, თუ უხილავი გავლენა საზოგადოებებზე. დაგეგმილია შემდეგი თემების დამუშავება: საზღვრის მატერიალურობა და სიმბოლურობა; ტრადიციული ეკოლოგიური კულტურა და თანამედროვეობა; ისტორიული მეხსიერება და ხალხური რელიგიური პარალელები სასაზღვრო ზონაში; სვანეთის ისტორიულ-გეოგრაფიული დარაიონების ეთნოგრაფიული მახასიათებლები; აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ურთიერთობები მეზობელ ხალხებთან; სალოცავები საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებში; აფხაზეთის დე ფაქტო საზღვრისპირა რეგიონი; საზღვრების სოციალური და ეკონომიკური ასპექტები ურბანულ სივრცეში. თემები დამუშავდება ეთნოგრაფიული მასალის, სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროების მონაცემების საფუძველზე, ანალიზის სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომებით.

2.2 შესავალი (კვლევის ობიექტი, პრობლემის აქტუალობა, კვლევის სიახლე, კვლევის მეთოდოლოგია):

საქართველოს საზღვრების, მასთან დაკავშირებული წარსულის და თანამედროვეობის პრობლემატიკის კვლევა დღეს განსაკუთრებით აქტუალურია. აქტუალობას შექმნილი პოლიტიკური ვითარება განაპირობებს - ყველა მეზობელი სახელმწიფო, ისევე როგორც სეპარატისტული რეგიონები საქართველოს წინააღმდეგ ეწევა იდეოლოგიურ ომს და იყენებს მეცნიერებას, პირველ რიგში,

ისტორიას. სამეცნიერო ომის მიზანია, დაასაბუთოს ტერიტორიათა ანექსიის სამართლიანობა, გააგრძელოს საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ტერიტორიის ხელყოფა, დაარღვიოს საქართველოს მოქალაქეთა ეროვნული ცნობიერება. წინამდებარე პროექტის განხორციელების შედეგად, მიღებული სამეცნიერო გამოკვლევები დასაბუთებული პასუხია ამ „რბილ ძალაზე" და ქვეყნის უსაფრთხოებას ემსახურება.

პროექტის სიახლე ის არის რომ ისტორიკოსების, ეთნოლოგებისა და ანთროპოლოგების მიერ პირველად ხდება ქართული ერთობის რეალური და წარმოსახვითი საზღვრების კომპლექსური შესწავლა მთელი ისტორიის მანძილზე.

პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევისათვის გამოყენებული იქნება ყველა ის მეთოდი, რომელიც ტრადიციულია ისტორიული, ეთნოლოგიური და ანთროპოლოგიური დისციპლინებისათვის. ეს არის: წყაროთმცოდნეობითი ანალიზის და სინთეზის მეთოდები, ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, აგრეთვე კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი, უშუალო დაკვირვების მეთოდი, სტატისტიკური ანალიზი და სხვა. ცოდნის მოპოვების გზა იქნება როგორც ინდუქციური, ასევე დედუქციური. ძალიან დიდი მნიშვნელობა მიენიჭება იმ მოდელებს, რომელსაც საზღვრების ფენომენის თაობაზე გვთავაზობს თანამდროვე სამეცნიერო გამოკვლევები.

2.3 არსებული ლიტერატურული მონაცემები (რა არის გაკეთებული, როგორ იყენებენ მიღებულ შედეგებს):

1893 წ. გამოიცა ფ. ტერნერის ნაშრომი „საზღვრების როლი ამერიკის ისტორიაში". მას შემდეგ ტერნერისტებს და ანტიტერნერისტებს შორის წარმოებულმა დავამ საფუძველი ჩაუყარა ისტორიულ-ანთროპოლოგიური კვლევების ერთ-ერთ საინტერესო მიმართულებას Frontier Studies (საზღვრების კვლევა), რომელიც დღეს საკმაოდ აქტუალურია ევროპასა და ამერიკაში. პროექტის შესრულებისას ძირითადი მონაწილეები, შეძლებისდაგვარად, გაეცნობიან Frontier Studies ლიტერატურას და გამოიყენებენ კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლად.

საქართველოში პირველი ნაშრომი ეკუთვნის ივ. ჯავახიშვილს „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული" (ტფილისი, 1919 წ.). საზღვრებზე, სასაზღვრო რეგიონებზე არაერთი ნაშრომი შეიქმნა, რაც „საქართველოს ისტორიის ატლასის" (2003/2016 წწ.) გამოცემით დაგვირგვინდა. ნაშრომებში უმეტესად საქართველოს პოლიტიკურ საზღვრებზეა ყურადღება გამახვილებული, გამოკვლეულია ეკონომიკური, სოციალური, საეკლესიო გეოგრაფიის საკითხები.

ეთნოლოგიური თვალსაზრისით საქართველოს სასაზღვრო რეგიონები (ქვემო ქართლი, ჯავახეთი, პანკისის ხეობა) უკანასკნელ ხანებში შესწავლილია ეთნოლოგთა ჯგუფების მიერ ლ. მელიქიშვილის ხელმძღვანელობით.

ყველა ეს შრომა გათვალისწინებული იქნება პროექტის შესრულების პერიოდში. უკვე გამოკვლეული საკითხები პროექტში ზოგადად იქნება მიმოხილული (სურათის სისრულისთვის), ძირითადი ყურადღება კი წამოჭრილი პრობლემატიკის უცნობ ან ნაკლებად ცნობილ ასპექტებს დაეთმობა.

2.4 პროექტის არსი და მეცნიერული ღირებულება:

პროექტი ხელს შეუწყობს: 1) საზღვრების პრობლემის კომპლექსურ გააზრებას და მრავალწახნაგოვან კვლევას, 2) Frontier Studies, როგორც ისტორიულ-ანთროპოლოგიური მიმართულების შემდგომ განვითარებას და პოპულარიზაციას საქართველოში, 3) საქართველოს ისტორიის უკეთ გააზრებას. პროექტის შედეგები შეიძლება გამოიყენებულ იქნეს სასწავლო დაწესებულებებში (როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, ისე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში), ჰუმანიტარულ, სოციალურ და სხვა კვლევებში, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების საექსპერტო, თუ სხვა საქმიანობაში.

4.1 პროექტში ახალგაზრდა მეცნიერების ჩართულობა. აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სადისერტაციო ნაშრომების მომზადება და სხვა.

პროექტში ჩართულია 5 ახალგაზრდა მეცნიერი, რომელთაც ასევე მიეცემათ საშუალება პროექტის ფარგლებში დაამუშაონ სადისერტაციო ნაშრომები. მათთვის და სხვა დაინტერესებული დოქტორანტებისათვის შედგება სპეციალური ლექცია-სემინარების განრიგი, რომელსაც გაუძღვებიან პროექტში მონაწილე მკვლევრები.